პროექტი

საქართველოს კანონი
„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 430040000.05.001.018169) 28-ე მუხლის:

ა) მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი:
,,ბ¹) ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ახორციელებს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას და რომელსაც სურს ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მოპოვება ვალდებულია 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით გაიაროს პირველადი რეგისტრაცია რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში.“.

ბ) მე-9 პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,გ) ამ პუნქტის „ბ“ და ,,ბ¹“ ქვეპუნქტების შესაბამისად რეგისტრირებული დაწესებულება/ ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია ცენტრს არაუგვიანეს 2024 წლის 1 იანვრისა წარუდგინოს თვითშეფასება დროებითი წესის შესაბამისად. ამასთან ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია 2024 წლის 1 იანვრამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს იურიდიული პირი ამ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად.

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარდგენილი თვითშეფასებების ანალიზის შედეგად ცენტრის მიერ მომზადებული წინადადების საფუძველზე არაუგვიანეს 2024 წლის 1 ოქტომბრისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით მტკიცდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად რეგისტრირებული და ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ ავტორიზაციის გავლის განრიგი.“.

გ) მე- 11 და მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,11. ამ მუხლის მე-9 პუნქტის ,,ბ“ და ,,ბ¹“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ითვლება შესაბამისი დაწესებულების/ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ინდივიდუალური მეწარმის მიერ ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით საქმიანობის განხორციელების უფლების საფუძვლად ამ მუხლის მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის გავლის განრიგის გათვალისწინებით აღნიშნული დაწესებულების მიმართ ავტორიზაციის გავლის საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

12. დაწესებულებას/ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელ ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელ ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელიც ამ მუხლის მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს თვითშეფასებას, ასევე ინდივიდუალური მეწარმე არ დააფუძნებს იურიდიულ პირს ან იმავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში არ წარადგენს ავტორიზაციის განაცხადს, უუქმდება ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით საქმიანობის განხორციელების უფლება.“.

მუხლი 2.
ამ კანონის ამოქმედებიდან 2023 წელის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით დადგენილებით დაამტკიცოს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის წარმოების წესში შესაბამისი ცვლილება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**